(ლაზიკის ეთნიკური შედგენილობა).

ამას წინად მეისტორიემ სარგის კაკაბაძემ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე წაიკითხა მეტად საინტერესო მოხსენება, რომლისაც საგანი იყო ლაზიკის (დასავლეთ საქართველოს) სამეფოს ეთნოგრაფიული შედგენილობა (მეექვსე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ). მოხსენება, როგორც თვით მომხსენებელმა განაცხადა, წამოყენებული საკითხის გადაჭრელ პასუხს კი არ წარმოადგენდა, არამედ ერთგვარი ცდა იყო, ისიც პირველი, რომ ზოგიერთი მოსაზრება გამოეთქვა საკითხის განსახილველად.

დღევანდელი საქართველოს თემობრივი შედგენილობის ერთ ერთი საკითხი, უეჭველია, არის ქართულ ენის და კულტურის გავრცელებისა ქართული ეროვნული კოლექტივის სხვა წევრთა შორისაც. მაგალითად ქართულის არსებობა არა თუ დასავლეთს, არამედ სამხრეთ საქართველოშიაც არ ყოფილა თავიდანვე და მხოლოდ მერმე გავრცელებულა სამხრეთით დაწყებული. სალაპარაკო ენა კი სამხრეთსა და დასავლეთ საქართველოს იმ რაიონებში, სადაც დღეს ქართული გაისმის, ყოფილა ქართულის შესატყვისი ენა, ანუ ენები, რომელთაგან წარმომდგარა დღევანდელი სვანურ ჭანურ მეგრულ აფხაზური ენები. ამის საბუთი იპოება იმერულშიაც, მესხურშიაც, რასაც, სხვათა შორის, ცხად ჰყოფს სიტყვები იმერული **ძმანები, დანები** და მესხური **ოპიზა** (სოფელია) და **ართვინი** (ქალაქია).

მომხსენებელი შესაძლებლად ჰპოებდა მეექვსე საუკუნეში ლაზიკაში, სხვათა შორის, სვანური ეთნიკური ელემენტის მცირეოდენ ნაწილად მაინც არსებობას ჭანებთან ერთად და ქართულ თემის გავლენის პირველი ნიშნების გამოჩენასაც, სხვათა შორის, იმ შემოსული სიტყვებით, რომელთაც მოეპოებათ სუფიქსი **ისი**, როგორც ადგილის და ქვეყნის აღმნიშვნელი. ორივ დებულება საძიებლად მისაღებია, რადგანაც განცხადება ბერძნის მწერლის სტრაბონისა, რომელიც ქრისტეს წინ პირველ საუკუნეში სცხოვრებდა და რომელიც სწერს, სვანებს შეუძლიანთ ორასი ათასი შეიარაღებული მეომარი გამოიყვანონო, ეხება უეჭველად დასავლეთ საქართველოს, რომელსაც მაშინ რქვიოდა სვანეთი. სწორედ ისევე, როგორც იმავე დასავლეთ საქართველოს მეათე საუკუნეში შეერქვა და თამარის გამეფებამდე ატარებდა აფხაზეთის სახელსა. ხოლო, ლაზიკა ევროპული სახელწოდება სვანური **ლა** თავსართით წარმოებული სიტყვისაგან გაჩენილა, მაშასადამე სვანების გავლენის მცირეოდენი ნაშთი შესაძლებელი იყო ქრისტეს შემდეგ მეექვსე საუკუნეშიაც ყოფილიყო შესამჩნევი. სალინგვისტიკო საკითხის წამოყენება რომელიც გამოიწვია **აყალო**მიწის განმარტებამ სვანურის შემწეობით, ხომ არასოდეს არ არის დაგვიანებული, მხოლოდ სამწუხაროა, რომ ჩვენ მეცნიერთა მიერ ლინგვისტიური შესწავლა იაფეტიანთ ენების და კერძოდ ქართული ეროვნული კოლექტივის ენებისა საშინაო ხასიათს არ გასცილებია და ლექსიკონებისა და ფილოლოგიურის განზარტების სახედ ჯერ არ გამხდარა ფართო საზოგადოების სამკვიდრებელი, რომ შეიძლებოდეს მათი განხილვა და რაიე აზრის დასკვნა, მაგალითად ჯერ თითქმის ხელ მიუყოფელია საკითხი მისი თუ ენები, **სვანური** და **ჭანური**, აგრეთვე **აფხაზური** და **მესხური** (გაქართულებამდე) როდის განსხვავებულა, რომ მათი მოლაპარაკე თემები ძველად ერთი თემი უნდა ყოფილიყო, რათგანაც **სვან, სან, ცან, ზან, ჭან,** ერთის მხრით, ხოლო **აფხაზი** და **მესხი** მეორის მხრით ერთი და იგივე სახელებია.

მაგრამ დღეს მკითხველის ყურადღება მინდა შევაყენო **სახედარი** და **მხრდალი** სიტყვების განმარტებაზე: **სახედარი** და **მხრდალი** სიტყვების წარმოება **ხდ** ძირისაგან, რომელიც დასდებია **ხდომას** საფუძვლად, ყოვლად შეუძლებელია. მაშინ ხომ ორივ სიტყვა ისეთი იქმნება, რომელიც შეხდომას (შეხტომას) აღნიშნავს, ორივ, შესახტომი იქნება. ასეთი განმარტება მაგონებს ჩვენებურ მამაპაპურ ფილოლოგიას, რომლის ძალითაც **ივერია** დარქმეულია ჩვენს ქვეყანას ვითომც იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის მეფე როცა მტერს მოჰრევია, **ი ვერიე** უთქვამს, **შემახია** იმისთვის, რომ მტერს ჩვენი მეფისთვის **შეუხევია**, ე. ი. წაურთმევია შემახიის ქვეყანა და **რაჭა** კიდევ იმისთვის, რომ თავისი მდებარეობით ქვაბივით მოსჩვენებია ვიღაც მეფეს და უთქვამს, **რაჭა** არისო. პირველი სიტყვის ძირი **ხედ** და მეორისა **ხრდ** შეიძლება ერთმანეთს უახლოვდებოდეს კიდეც, მაგრამ სხვა და სხვა არის მაინც. პირველი **ხედ** სხდომას, ჯდომას, ხოლო მეორე **ხრდ** აღნიშნავს დედალსა, ასე, რომ საბა ორბელიანი მართალია, მასთან ერთად სხვა ძველი მწერლებიც, რომეთაც **მხრდალი** ესმით ფაშატის აზრით, როცა იტყვიან **მხრდალი ვირო** და დღესაც **მხრდალი კაცი** აღნიშნავს გულდედალსა ისეთს, რომელსაც დიაცისებური გული აქვს, მკრთალი და ჯაბანია. **ხედ** არის პირვანდელი **სხედ**, ან **ცხედ**, შემოკლებით **სხდ**, რომელსაც ფარდია ლათინური **სედ**, (სედეო-ჯდომა, სხდომა) ძირისა და გამოთქმულია **ხ** ცხვირის მიერი ხმის შემწეობით. აი ამ **ხედ** ძირისაგან სწარმოებს **ხედნა**, რომელიც აღნიშნავს იმავ ჯდომას და ჯერ უნაგირ დაუდგმელი ცხენის ჭენებით მოთვინიერებას, ან გახედნას. აქედან სწარმოებს **მხედნელი** და **მხედნარი**, ანუ მდაბიურად **მხედარი** რომელიც კავალერისტს აღნიშნავს, დღეს კი გვესმის მეომრის აზრითა. მაშასადამე **სახედარი** სახდომელ, შესახტომს კი არა, საჯდომად გამოსაყენებელ ცხოველს აღნიშნავს და თუ დღეს ზოგჯერ მხოლოდ ვირის აზრით იხმარება, ალბად ჩვენი წინაპრები მოსულან იმ ქვეყნიდან, სადაც ვირზე ჯდომა სათაკილოდ არ ითვლებოდა. იესო ნაზარეველიც ხომ ვირით შევიდა იერუსალემს!

რაც შეეხება **მხრდალს**, აი რა უნდა ითქვას. ამ სიტყვას ახასიათებს ორი ხმა. პირველია **მ** სემიტური პრეფიქსი, ხოლო მეორე არის **რ**, რომელიც საბგერალია სწორედ ისევე, როგორც სახედრის **ხ**. ასეთი ამბავი იაფეტურ არიულ ხმათა ცვლაში ხშირია, რის მაგალითადაც შეგვიძლია დავასახელოთ **თხემი** (რუს. ტემია), **ფრთა** (ბერ. **პტერონ**, რუს. პტიცა); ხოლო **ალ** ჩასართია. დაგვრჩება წმინდა ძირი **ხდ**, რომელიც იგივეა, რაც **ხნ**, რათა იძენს ანვითარებს საჭირო ნაწილებს და ორგანრებს.. აბსურდია! ჯერ ერთი ეს: საზრდოს შეუძლიან მხოლოდ გაზარდოს და განავითაროს ის, რაც უკვე არსებობს, ხოლო ახალის შექმნა მისთვის ყოვლად შეუძლებელია; მეორე კიდევ: რით აიხსნება ის, რომ შვილი ხშირად პირწავარდნილი მამაა, დაწყებული გარეგნობით და დასრულებული ხასიათით, სულიერი თვისებებით. საიდან შესძენდა ამას დედისაგან მიღებული საზრდო. რასაკვირველია თვით ადამიანის ჩანასახში დაგროვილია ყველა ის, რაც შემდეგში იზრდება და ვითარდება და ეს კი გვიმტკიცებს რომ ადამიანის ჩანასახი არა მარტივი და უბრალო ორგანიზმია, არამედ ისეთივე რთულია, როგორც ორგანიზმი თვით ადამიანისა. იგი მთელი კრებულია მრავალი, ურიცხვი უფრო წვრილი ორგანიზმებისა; მხოლოდ ჩვენ არა გვაქვს საშუალება მისი გარჩევისა და არც როდისმე გვექნება ისეთი საშუალება, რომ ბოლომდე ჩავყვეთ ამ დანაწილებას; რამე თუ ამ დანაწილებას საზღვარი არა აქვს. იგი უსაზღვროა.

მაშასადამე სამყარო მარადისობა და უსაზღვროებაა, მას არც დასაწყისი და არც ბოლო აქვს.

„ღმერთმა შექმნა სამყარო“. აბსურდია. განა შეიძლება მარადისობის და უსაზღვრობის შექმნა? განა „შექმნა“ უკვე არ გულისხმობს დასაწყისს? მაშასადამე თავის თავად არ უარყოფს მარადისობას და უსაზღვროებას? რასაკვირველია. „ღმერთი ბრძანებლობს და განაგებს სამყაროს“. აბსურდია. განა შეიძლება მისი უსაზღვროების და მარადისობის ერთსა და იმავე დროს არსობობა და მით უმეტეს ერთის მეორეგანის ბრძანებლობა და მართველობა? ყოვლად შეუძლებელია. ორში ერთი არ არის უსაზღვროება და მარადისობა, ორში ერთი არ არსებობს. მთელის ჩემი აზრით, შეგნებით, ლოგიკით, ცოდნით და ექსპერიმენტით **ვიცი**, რომ სამყარო არსებობს ეს ვიცი და თქვენ ამავე დროს მეუბნებით: „**იწამე** არსებობა მეორე უსაზღვროების და მარადისობის, დმერთისა“-ო. იქ ცოდნა, ჭეშმარიტება,—აქ რწმენა აბსურდზე დამყარებული, ყოველი ცოდნის და ლოგიკის წინააღმდეგი. არა და არა!.. „მაშინ შექმნა სამყარო? კითხულობს ადამიანი. მოკლე ჭკუა:

„განა უმიზეზოდ შეიძლება რამე მოხდეს?“ განაგრძობს იგი. მარადისობა და უსაზღვროება არავის შეუქმნია, სამყარო მარადის იყო, არის და იქნება. მიზეზ-შედეგობის კანონის თავის თავად განსაზღვრის და შეკვეცის კანონია, ადამიანის. შეკვეცილ და განსაზღვრულ გონებით ნაშობი და ეს კანონი ვერას გზით ვერ მიუდგება სამყაროს—უსაზღვროებას და მარადისობას. როდესაც ღმერთზე ლაპარაკობთ რატომ მაშინ არ დასვამთ ამ საკითხს: „ღმერთი ვიღამ შექმნა?“ აქ თქვენ ამბობთ: „ჩვენ **გვწამს**, რომ ღმერთი მარადის იყო, არის და იქნება!“

ეს თქვენა გწამთ, მაგრამ ამავე დროს **იცით**, რომ სამყარო მარადის იყო, არის და იქნება. რწმენა თუ ცოდნა? ღმერთი თუ სამყარო? თუ ღმერთი, მაშინ სამყარო არ უნდა არსებობდეს და თუ სამყარო—მაშინ ღმერთი უნდა უარყოთ. საღი გონებისათვის მე მგონია არჩევანი ადვილია: რაც **ვიცი**—ის არსებობს; რაც არ ვიცი—ის **არა წამს** და იგი **არც არსებობს.**

„მაშ ვინ განაგებს, ვინ ბრძანებლობს სამყაროს?“ კითხულობს სულით და გონებით მონა-ადამიანი. არავინ. თვით განაგებს და ბრძანებლობს სამყარო, მისი კანონები მარადისობის და უსაზღვრობის კანონებია, მის შიგან მომქმედი ძალები და ის ევოლიუცია რომლითაც ხასიათდება განვითარება მისი ნაწილებისა მარადის არსებობდენ, არსებობენ და იარსებებენ. კაცობრიობის გენიამ თუნდაც იქამდის მიაღწიოს, რომ ავფრინდეთ მარსზე ან იუპიტერზე, მაინც ჩვენ სამყაროს გაჩენის ამოცანას ვერ გამოვიცნობთ, ჩვენ მხოლოდ უფრო მტკიცედ შევიგნებთ სამყაროს უსაზღვროებას და მარადისობას. მისაღწევი მხოლოდ ის არის რასაც ან დასაწყისი ან ბოლო აქვს. სამყაროს—უსაზღვროებას და მარადისობას არც დასაწყისი და არც ბოლო აქვს.

* * *

უკვდავი სული.

„ღმერთმა შთაბერა ადამიანს უკვდავი სული“... „სხეული იხრწნება, მაგრამ შთება უკვდავი სული, რომელიც იმ ქვეყნად მარადის ნეტარებას განიცდის“... ეს მეორე დიდი აბსურდი. „შთაბერა უკვდავი სული“-ო!.. ვსთქვათ ‘ეს ასე მოხდა და მის გაჩენის დროს, მაგრამ ერთი მითხარით: შემდეგში ვინ ჰბერავდა ახლად დაბადებულს ადამიანს ამ უკვდავ სულს?

ნუ თუ უნაწილებს მას დედა ან მამა? უკვდავის განაწილება ხომ შეუძლებელია, უკვდავი არ ნაწილდება, გარდა ამისა—როგორ თავსდება მომაკვდავ სხეულში უკვდავი სული? ესეც ხომ შეუძლებელია.

ვისაც სწამს ღმერთი, „ღმერთი შემოქმედი, გამჩენი ადამიანისა, მისი მოჭირნახულე და მფარველი, მან რასაკვირველია ამ ერთ აბსურდთან უსათუოდ უნდა იწამოს მეორეც: „უკვდავი სული“. მე ღმერთი არამ თუ არა მწარმს, არამედ მისი არსებობა ჩემის ცოდნით და შეგნებით ყოვლად შეუძლებელია, მაშასადამე ვერც მეორე აბსურდს, სულის უკვდაობას, მივიღებ. საკვირველი ის არის, რომ გარდა რელიგიის ქურუმებისა და მრავალი შეუგნებელი ხალხისა, რომელთაც პროფესიის თუ შეუგნებლობის გამო ღმერთი სწამთ და მასთან რასაკვირველია „უკვდავი სულიც“, მოიძებნებიან ფრიად განვითარებულნი და განათლებულნი ადამიანები, რომელნიც ყურიოზულად ლაპარაკობენ „სულის უკვდავებაზე“, იდეალისტები, სპირიტუალისტები და მრავალნი სხვანი. რითი აიხსნება ეს?

სიცოცხლის წყურვილის ძალით და სიკვდილის შიშით. დიახ! ადამიანს ვერ წარმოუდგენია: „როგორ, მე, აი ვცოცხლობ, ვაზროვნობ, ვგრძნობ და უცბად ვიქმნე?..“ დიახ, დიახ, სწორედ ასე იქნება, მხოლოდ ერთი შესწორებით: ის, რაც თქვენ გგონიათ რომ კვდება, ქრება, თქვენი სხეული—სწორედ ეს არის თქვენში უკვდავი, იგი მხოლოდ გარდაიცვლება, დანაწილდება თავის შემადგენელ ელემენტებად ახალი ფორმის შექმნისათვის და ის კი რაც თქვენ უკვდავი გგონიათ, თქვენი „მე“, თქვენი „უკვდავი სული“, სწორედ ეს გაქრება და არარად იქცევა, და ეს იმიტომ, რომ იგი თქვენს სიცოცხლეში მხოლოდ თქვენი „მოჩვენება“ იყო და ნამდვილად კი არ არსებობდა. დიახ, სხეული როგორც მატერიის, მსოფლიოს ნაწილი არა კვდება, არა ქრება, არამედ მხოლოდ ფორმას იცვლის, ევოლიუციას განიცდის, იმ ევოლიუციას, რომლითაც ხასიათდება ყოველი მოვლენა სამყაროში. ჩვენს ქართულ ენაში მართლადაც ზედმიწევნით და მასთან მშვენიერი გამოთქმაა „გარდაიცვალა“-ო.

ერთხელ მძიმე ოპერაცია გადავიტანე, ექიმებმა ხლოროფორმით დამაძინეს და აი სწორედ მაშინ გავიგე, რა არის სიკვდილი.

უცბად თითქოს სადღაც ჯურღმულში ჩავარდა და ყველაფერი გაქრა, არაფერს ვგრძნობდი, ერთი სიტყვით არარად ვიქეც, ვისაც გამოუცდია ამ გვარი რამ იგი ადვილად წარმოიდგენს სიკვდილს.

რა არის ეს „უკვდავი სული“, რომელიც ვითომ ადამიანში სუფევს, მატერიალურია თუ არამატერიალური? თუ მატერიალური, მაშინ ხომ მის არსებობას ყოველგვარი აზრი ეკარგება და იგი ვერას გზით ვერ იქნება უკვდავი.

ჩვენ გვეუბნებიან: „არა, უკვდავი სული არა მატერიალურია“-ო თუ უკვდავია სულით ჩვენი, მაშინ იგი მარადია, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია, რომ მარადიობა—სამყაროში, მის შიგან არსებობდეს რაიმე კიდევ მარადი... არა, „უკვდავი სული“ სიკვდილის შიშით ზარდაცემულ ადამიანის მოგონილია, ისევე, როგორც ღმერთი. სხვათაშორის უნდა გითხრათ, რომ არავითარი სურვილი არა მაქვს, სული ჩემი უკვდავი იყოს. რა უნდა აკეთოს ამ ჩემმა უკვდავმა სულმა ჩემი სულის სიკვდილის შემდეგ?.. თუ რელიგიას დაუგდებ ყურს იგი მოგვითხრობს რომ უკვდავი სული „მართალთა“ შორის განისვენებს სამოთხეში, სადაც განიცდის მარადის ნეტარებას.

რა მოსაწყენია—მარადის ერთი და იგივე მარადის ნეტარება? განა შეიძლება ნეტარება იქ სადაც წამება არ არსებობს?.. არა, დიდათ გმადლობთ, მე სამოთხის სტუმარი არა ვარ...

(შემდეგი იქნება).

ი. გ—ლი.

პარტიაში

ხუთშაბათს, ივნისის 28-ს, საღ. 8 შესდგა მე-2-რე რაიკომის წევრთა საზოგადო კრება. თავმჯდომარეობდა ამხ. ბ. ჭანიშვილი. დღის წესრიგში იყო: 1. საკითხი ტფილისის კონფერენციის შესახებ.
2. დელეგატების არჩევნები.
3. მიმდინარე საკითხები.

ტფილისის კონფერენციის შესახებ მოკლე მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. თავზარაშვილი და არკვევს იმ დღიური წესრიგის ხასიათს რომელიც დასმულია აღნიშნულ კონფერენციაზე.

პირველი საკითხის შესახებ კრება სცნობს, რომ არ არის აუცილებელი კონფერენციის საკითხების წინასწარი განხილვა და ამის შესახებ არც დელეგატებს ეძლევათ განსაზღვრული დირექტივები.

2. **დელეგატების** არჩევნების შესახებ კრება აღიარებს, რომ მე-2-რე რაიკომს აქვს უფლება, ბეტრის მიხედვით აირჩიოს 5 დელეგატი. ხმის უმრავლესობით არჩეულ იქნენ: ჭანიშვილი პარმენ, 2. მელაშვილი დავით, 3. თავზარაშვილი გიორგი, 4. ნოზაძე მელიტონ, 5 ჩილაკაძე. კანდიდატად ნ. უჯმაჯურიძე.

მდივანი.

ტფილისი. 27 ივლის 2 საათ. შესდგა ქალაქ. აღმასკომში მემარცხენე სოც.-ფედ. უჯრედის კრება, რომელსაც დაესწრო ამხანაგების უმრავლესობა. დღიურ წესრიგში იყო: 1. უჯრედის ბიუროს არჩევა, 2. ტფილისის კონფერენციაზე დელეგატის არჩევა, 3. პარტიული ძუშაობა და 4. მიმდინარე საკითხები. უჯრედის ძველი ბიუროს მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. რატიანმა; მან აღნიშნა ბიუროს მოქმედებიდან მთავარი მომენტები და დასასრულ მოითხოვა ბიუროს ხელახალი არჩევა, ვინაიდან ბიუროს ძველი შემადგენლობიდან გამოაკლდა რამდენიმე ამხანაგი, მათი აღმასკომიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის გამო. უჯრედის ახალ ბიუროში არჩეულ იქნენ: დ. რატიანი, დ. ჟორჟოლაძე, მარო გოგოხია და აკ. ქაბუშაძე.

მომავალ ტფილისის კონფერენციის შესახებ მოხსენება გააკეთა კრების თავმჯდომარე—მირ. სეფერთელაძემ. მომხსენებელმა კრებას განუმარტა ტფილისის კონფერენციის დიდი მნიშვნელობა და სურვილი გამოსთქვა, რათა ამ კონფერენციის ღირსეული როლი ეთამაშოს ჩვენ პარტიულ ცხოვრებაში და ტფილისის ახალი კომიტეტი ყოფილიყოს ჯანმრთელი ორგანიზაციული სხეული, რომელიც შემოიკრებს ყველა ტფილისის და მისი მაზრის პარტორგანიზაციებს და უხელმძღვანელებთ მათ.

დელეგატად სათ. ხმით არჩეულ იქნა ამხ. დავით ჟორჟოლაძე. შემდეგ კრება ახალ ბიუროს ავალებს მეტი უნარის გამოჩენას პარტიულ მუშაობის გასაცხოველებლათ. გაირჩა სხვა საკითხებიც და კრება დამთავრდა 2 საათ. **აღმასკომელი.**

განაც **დ** და **ნ** ფარდი ხმეებია (გარდა=გარნა): აი ეს **ხნ**, რომელიც ხმა სრულადაც გამოთქმულა **ხენ**, თანასწორია **ქან** (ქანწული=ქალწული) და **წან** (დაწანება, წაწლობა) ძირებისა და მოგვაგონებს **კინ** სომხურს, გუნე ბერძნულს **ჟენა** რუსულს, აგრეთვე **ცოლ** ქართულს (ცუალ=ცალ=ცან), ყველას მდედრის აზრის მქონესა. ხოლო წარმოების დროს **ხნ** გამოთქმულა **მხრდალი** (მხნალი=მხდალი=მხრდალი) მაშასადამე საბა ორბელიანის განმარტება, რომლითაც **მხრდალი** დედალს, ფაშატს ნიშნავს, მართალია, როგორც ლინგვისტიურად, ისევე ხალხური გამოთქმითაც. ცხენის, ვირის, აქლემის დედლობის აღსანიშნავად მხრდალი აღარ გამომდგარა მას აქეთ, რაც შემოსულა უცხო სიტყვა **ფაშატი** და დაჰკუთნებია უძლურის, მოშიშის

ჯაბანის აზრი, როგორც დღეს გვესმის ყველას. დავით ჩუბინაშვილის ორთოგრაფი **ხდალი** არ არის მართალი, რათგანაც დღევანდელი ხალხური გამოთქმაც კი სემიტურ თავსართიანია (მხდალი), მხოლოდ ერიდება რ საბგერალ ხმას, რომელიც მწიგნობრულ ფორმას ახლავს (მხრდალი).

აკად. ნიკოლოზ მარის მიერ კვლევა-ძიება რომ არ ჰქონოდა სარგის კაკაბაძეს წინა ხიდად, ვერც აღსძრავდა ისეთ საინტერესო საკითს, როგორიც არის ქართული ეროვნული კოლექტივის წევრთა ეთნიკური მოძრაობა, ერთგვარი ფუვილი, რითა ბოლოს დასდგომოდა გაერთფერებას, გაქართულებას და რომელიც ჯერ კიდევ დაუდუღებელი პროგრესიულად სწარმოებს.

პეტრე მირიანიშვილი.

გვიშველეთ რამე!

(საფინანსო უწყების საყურადღებოდ)

იგრეც გაჭირებულნი ვართ სიძვირის გამო და ეს რაღა უბედურებაა, რომ მოვაჭრენი, მცირედაც რომ იყოს ბონი გაცვეთილი ან მოხეული და გახეული, არ იღებენ და ამ სახით დიდს და აუტანელს გარემოებაში გვაგდებენ მოქალაქეებს, მახსოვს თვითპყრობელობის დროს ხაზინა ახურდავებდა სრულიად დაფხრეწილ ასიგნაციებსაც კი, ოღონდ № ჰქონოდა ერთის მხრიდამ მაინცა და ახლა კი სულ იმას იძახიან, რომ ხაზინა არ იღებს და არც ჩვენ ავიღებთო. ყვითელ ას თუმნიანებს ხოლმე სულ ახალსაც კი არ იღებენ! ვსთხოვთ საფინანსო უწყებას დაგვიხსნას ხალხი გაჭირებიდან, მთელი ასი ათასი მანეთობით გროვდება ჩვენს ხელში და გვიყოია იგი უსარგებლოდ, აგვიხსენით, რა ვუყოთ ამ ფულს ან რა მიზეზია, რომ ხაზინა უკან არ იღებს.

ივ. როსტომაშვილი.

პროვინციაში

დ. ჩოხატაური. 1913 წელში დაწყებული საავადმყოფოს შენობის აგებას უკვე შეუდგენ. ასეთი გრანდიოზული შენობის დამთავრებას, დღევანდელ პირობებში რამდენიმე ათეული მილიარდები დასჭირდება, რომელი თანხაც ზოგი იკრიბება ადგილობრივ მცოვრებთა შორის, ნაწილს მთავრობა ეხმარება და ნაწილიც გროვდება შემოწირულების სახით.

ერთ ასეთ შემოსავლის წყაროთ საამშენებლო კომიტეტმა მიიჩნია დ. ჩოხატაურში საღამოს გამართვა. აღნიშნულ მიზნით უკვე არჩეულია სპეციალური კომისია, რომელმაც გადასწყვიტა გამართოს საღამო-სეირნობით ადგილობრივ ტეხნიკუმის ეზოში ამა ივნისის თვის 24 რიცხვს დღით კვირას. ყოველივე ზომები არის მიღებული, რომ საღამო იქნეს გრანდიოზული და მეტად შინაარსიანი, რათა გაამართლოს მაზე დამყარებული იმედები. ამ მხრით საღამოს გამმართველი კომისია არ დაზოგავს თავის ძალ-ღონეს და ის ფიქრობს, რომ ასეთი სიმპატიური მიზნით გამართული საღამო ჰპოებს შესაფერ გამოძახილს მთელი რაიონის მცხოვრებთა შორის და ყველა ოდნავ გაგებული და გულშემატკივარი მოქალაქე შეიტანს თავის წვლილს საავადმყოფოს ფონდის გასაძლიერებლად.

მოქალაქენო, დაეხმარეთ ამ კომისიას ვის რითაც შეგიძლია!

— 9 ივნისიდან ყველა სკოლებში უკვე შეწყდა მეცადინობა.

— თანახმათ მაზრის განათლების განყოფილების განკარგულებისა, აღმოსავლეთ გურიაში კერძო პირების გამოცდების უფლება მიეცა მხოლოდ ჩოხატაურის და ბუკის-ციხის 8 წლიან შრომის სკოლებს.

— მაისის ბოლო რიცხვებში ადგილობრივ ტეხნიკუმში ამავე სასწავლებლის მოწაფეების თაოსნობით გაიმართა საღამო ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოთ. საღამო კარგათ ჩატარდა და საზოგადოებაც დიდი დაესწრო. შემოსავალი იყო დაახლოებით 120 მილიონამდე.

— აბრეშუმის ჭიას მეტად კარგი პირი უჩანს და მოსავალიც პარკის საშუალოზე მეტი ექნება.

— ჩოხატაურის კოოპ. კავშირის გამგეობამ ადგილობრივი სახალხო სახლის სასარგებლოდ გადასდო 50 მან. ოქროთი. დიდი დახმარება ახსოვს სახ. სახლს კავშირის გამგეობისაგან. მაგრამ ის კვლავ არ აკლებს მას მზრუნველობას და ზნეობრივ და მატერიალურ დახმარებას; დარწმუნებული ვართ მომავალშიაც ასე გულმხურვალედ მოეკიდება მას, რისთვისაც ერთხელ კიდევ, არ შემიძლია უღრმესი მადლობა არ გამოუცხადო კავშირის გამგეობას ასეთი უხვი დახმარებისთვის.

— ამ დღეებში მოხდა არჩევნები ჩოხატაურის დრამატ. წრის გამგეობისა. გამგეობაში აირჩიეს: ილ. ძნელაძე, ე. გურგენიძე, ი. ნინიძე, გ. სიხარულიძე და ლ. ღამბაშიძე.

— ახალმა გამგეობამ უკვე გახსნა საზაფხულო სეზონი. სეზონი გაიხსნა ცნობილი პიესით „ქრისტინე“. წარმოდგენის წინ მეტად შინაარსიანი სიტყვით მიმართა საზოგადოებას ე. გურგენიძემ. მან აღნუსხა თეატრის დანიშნულება, მისი როლი კაცობრიობის კულტურის ისტორიაში და მოუწოდა საზოგადოებას, რათა მათაც არ მოაკლონ თეატრს ზნეობრივი და მატერიალური დახმარება. ამის შემდეგ სცენის მოყვარეთა მიერ დადგმული იქმნა პიესა „ქრისტინე“, რომელიც საერთოთ გვარიანათ ჩატარდა. მაგრამ არ შემიძლია აქვე არ აღვნიშნო ერთი გარემოება: საქმე ის არის, რომ თეატრში დიდ უწესრიგობას აქვს ადგილი, რასაც ეხლავე უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. თორემ რას გავს, სცენაზე და კულისებში ისეთი ხმაურობაა, რომ იფიქრებ მუშტი-კრივი გაუმართავთო. არც დარბაზში არის საქმე უკეთესათ და მასაც დიდი ყურადღების მიქცევა ესაჭიროება. პატარა ბავშები სრულიათ არ უნდა იქმნენ დაშვებული წარმოდგენებზე, რადგან ისინი უწესობის მეტს დარბაზში არას ჩადიან.

აგრეთვე ერთხელ და სამუდამოთ აღკვეთილი უნდა იქმნეს უადგილო რეპლიკები, რაც ეჭვი არ არის, მეტათ ცუდათ მოქმედობს მსმენელებზე; აკრძალული უნდა იქმნეს დარბაზში ხილის შემოტანა და თამბაქოს წევა. თვით სცენის მოყვარეთ კი მმართებთ მეტი მუშაობა, მეტი მომზადება, სერიოზულობა და მაშინ, ეჭვი არ არის, საზოგადოებაც შესაფერათ დააფასებს თეატრს და იქ მომუშავე ძალებს. აი ამ იმედით ვხვდებით ჩოხატაურში საზაფხულო სეზონს.

— ჩოხატაურის კოოპ. კავშირმა უკვე მიიღო 1922 წლის მეაბრეშუმეთათვის დასარიგებელი დივიდენდის ფართალი თითეულ ფუთ ნედლ პარკზე მეაბრეშუმე მიიღებს 4 მან. 95 კაპ, საქონელის (ოქროთი), ფართლის დარიგება უკვე სწარმოებს.

ამხაითელი.

ხელოვნება

წარმოდგენები ბახმაროში. ამ დღეებში გაიხსნება საზაფხულო წარმოდგენების სეზონი ბახმაროში, სადაც მოაგარაკეების მიერ დიდი სურვილია ქართულ წარმოდგენებისა.

ფაშალიშვილის საღამო. დღეს ცენტარმკლუბში გაიმართება საყურადღებო საღამო პოეტ ფაშალიშვილისა.

კონცერტი. ხუთშაბათს 28 ივნისს ბაღი „სტელაში“ გაიმართა კალანდაძის გუნდის კონცერტი.

ბალეტი ჰიათურაში. ჰიათურაში მოელიან პრიმა-ბალერინას ბაუერზაქს, რომელიც გამართავს რამოდენიმე საგასტროლო წარმოდგენას.

რუსული წარმოდგენები ქუთაისში. ქუთაისში შედგება რამოდენიმე რუსული წარმოდგენა ბათომის მსახიობთა ძალების მონაწილეობით.

გ. დავითაშვილის გასტროლი. ქ. ბათომში ამ ჟამად საგასტროლოდ არის გამგზავრებული ქართულ დრამის მსახიობი გიორგი დავითაშვილი. წავა პიესა შექსპირისა „ჰამლეტ“, თვით ჰამლეტის როლში გამოვა გიორგი დავითაშვილი. დანარჩენი როლები განაწილებულია ადგილობრივ ძალების შორის.

მოსკოვის სამხატვრო დასი. მოსკოვის სამხატვრო დასის სტუდიამ დაამთავრა წარმოდგენები ტფილისში და გაემგზავრა ბათომში რამოდენიმე წარმოდგენის გასამართავად.

სომხური მუსიკალური კომედია. როსტოვიდან ჩამოსულმა სომხურმა მუსიკალურმა კომედიამ დაამთავრა საგასტროლო წარმოდგენები ტფილისში და მიემგზავრება ერევანს რამოდენიმე წარმოდგენის გასამართავად.

ქეთო და კოტე. კომიკური ოპერა ვ. დოლიძისა „ქეთო და კოტე“ ლიბრეტო გადაითარგმნა რუსულ ენაზე ისკანდერის მიერ.

საჭირო განმარტება

მოხდა სამწუხარო მოვლენა!

სახალხო სახლის ქართული დრამატიული დასიდან ბესო მაისურაძის იუბილეიზე ვერ დაესწრო წარმომადგენელი. ეს მოვლენა რასაკვირველია აღინიშნა როგორც იუბილეიზე ისე პრესაშიაც. საყვედური უთუოდ მისაღებია, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც საჭიროა იცოდეს, როგორც საზოგადოებამ, ისე პატივცემულმა იუბილიარმაც. სახალხო სახლის ქართული დრამატიული დასი, როგორც ციტადელი სახალხო თეატრის მუშაკთა, არ შეიძლება განზრახ ჩამდენი ყოფილიყო იმისი, რომ წარმომადგენელი არ გაეგზავნა, მაგრამ ამ შემთხვევაში თვით დასის გამგეობა ვერ გამორკვეულა, რაშია საქმე. არავითარი მოწვევის ბარათი გამგეობას არ მიუღია. ასეთის გამოგზავნა კი დამოკიდებული იყო საიუბილეო კომიტეტზე და საკვირველია, რად გამორჩათ სახალხო სახლის დასი. იქნება რაიმე გაუგებრობას ქონდა ადგილი. შეიძლება, მაგრამ ასეთმა უბრალო ფორმალურმა უყურადღებობამ მდგომარეობას სხვა გვარი ხასიათი მისცა და თავისებური გაგებაც შექმნა.

აქ ისიც უნდა დავძინოთ, რომ სწორედ იმ ღამეს, როცა იუბილე იყო, ჩვენი დასი გამგეობის რამოდენიმე წევრებით ორი დღით ადრე ჩათახის კლუბის გახსნაზე იყო წარმოდგენის გასამართავათ და ამანაც ერთგვარი ხელის შემშლელი როლი ითამაშა და ვინც დარჩენილი იყო აქ, ისინი ერთგვარი მასპინძლები იყვნენ იუბილეს ღამეს და ზოგიც პატივისცემით დაესწრენ. და ასე—თუ ვისმე ფიქრობს, რომ ჩვენი წარმომადგენელის დაუსწრებლობა რამე ტენდენციას [illegible] გამარტების შემდეგ დარწმუნებულიან, [illegible] ადგილი არ ქონია. და თუ [illegible] გამოიყენებს, ასეთებს გამგეობა ანგარიშს არ გაუწევს. ბესო მაისურაძეს კი, დაგვიანებით, მაგრამ გულწრფელი გრძნობით სახალხო სახლის მთელი დასი სალამს უძღვნის და სიამით ეგებება მის ღვაწლის დაფასებას.

სახალხო სახლთან არსებული ქართული დრამატიული დასის გამგეობა.

30/VI—23 წ.

მოქალაქე შ. იმნაიშვილს.

ჩვენს შორის წარმოებულ პოლემიკის გამო გაზეთის ფურცლებზე და საპასუხო წერილისა, რომელიც მოთავსებული იყო გაზ. „ტრიბუნის“ №500-ში, ყოველივე სიმართლის აღსადგენათ და საქმის გამოსარკვევათ მიწვევთ სამედიატორო სასამართლოში, რომლის შედეგი უნდა იქმნეს ან ერთი ან მეორე მხარის მართებული დასჯა. ჩემის მხრით სასამართლოს წევრათ ვასახელებ ნაფიც ვექილს მ[illegible] გორდეზიანს.

ამასთან ერთად დროის განსაზღვრისათვის ვსდებ ერთი კვირის ვადას დღიდან წერილის გამოქვეყნებისა.

ივ: სპ. კანდელაკი.

ვეკავრობის მოქმედებანი — და ბანაკრბულებანი —

დადგენილება № 102

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

გლეხთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების კომიტეტების დაარსების შესახებ.

გლეხთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების კომიტეტებისა და ხელოსანთა, შინა-მრეწველთა და სხვა წვრილ მწარმოებელთა (რომელნიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან) საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა მოწყობის შესახებ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მე-9 №-ით გამოცემული დადგენილების აღსასრულებლად, აგრეთვე თანახმად იგივე პრეზიდიუმის 1923 წ. თებერვლის 27 დადგენილებისა, რომლითაც ამ საქმის განხორციელება გადაეცა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის აღდგენილ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა სამაზრო, საარაიონო და სათემო აღმასრულებელ კომიტეტს გაუწიონ ყომელგვარი დახმარება საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სოციალური დახმარების სახალხო კომისარიატს მის მუშაობაში-ზემოაღნიშნულ საურთიერთო დახმარების ორგანიზაციების შექმნისათვის და ამასთანავე თვით მიიღონ ამ საქმეში უაღრესი აქტიური მონაწილეობა.

2. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს-მიუჩინოს ხოლმე გლეხთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების კომიტეტებს მიწის ნაკვეთები და აღმოუჩინოს მათ ყოველმხრივი სასოფლო-სამეურნეო დახმარება (თესლეულით და სხვ.) მათი ნატურალური ფონდის გასაღლიერებლად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხ[illegible] კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე [illegible] **გეგეჭკორი.**

სოციალური უზრუნველყ. სახალხო კომისარ[illegible] **ხომერიკი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ს[illegible] ლარიძე.**

1923 წ. იანისის 26.

ტფილისი-სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ჟურნალისტი

სრულიად რუსეთის განათლების მუშაკთა სამმართველოსთან არსებულ სრულიად რუსეთის ბეჭვდითი საქმის ცენტრალურ ბიუროს სექციის ორგანო.

ჟურნალი ემსახურება რუსეთისა და უცხოეთის განათლების საკითხებს, რუსეთისა და უცხოეთის ბეჭვდითი საქმისა და ლიტერატურის მუშაკთა ცხოვრებას.

გამოვიდა №№ 1, 2, 3, 4 და მე-5. ამ დღეებში გამოვა მეექვსე ნომერი.

შეკვეთა უნდა გაიგზავნოს პირდაპირ რედაქციაში შემდეგი მისამართით: მოსკოვი, ნიკიტის ბულვარი, სახლი № 8 რედაქცია „ჟურნალისტ“-ი; თითო ნომერი (გადაგზავნით) ღირს 1 მან. 50 კ. ჩერვონცებით, ფულის მიღების დღის კურსით.

ვინც 10 ცალზე მეტს გამოიწერს 10 პროც. დაეთმობა. № 380 2—1

აბიერ-კავკასიის რკინის გზებზე მიმოსვლის ნუსხ[illegible]

ტფილისიდან გადის

მატ.	№ 1	სწრაფი მოსკოვში შაბათობით
მატ.	№ 1	სწრაფი პეტროგრ. პარასკეობ.
მატ.	№ 1	„ „ სამშაბათ.
		1600
მატ.	№ 2	„ ბათუმში სამშაბათ. 16.40
მატ.	№ 3	როსტოვში ყოველდღე 23.35
მატ.	№ 3	კახეთში „ 7.15
მატ.	№ 4	ბათუმში „ 8.05
მატ.	№ 8	ბათუმში „ 20.40
მატ.	№ 20	ბორჯომში „ 15.20
მატ.	№ 21	ბაქოში „ 11.25
მატ.	№ 22	ბათუმში „ 0.20
მატ.	№ 3	ერივანში კენტი რიცხვში 18.00
მატ.	№ 35	კახეთში „ „ 10.35
მატ.	№ 31	ჯულფაში წყილ რიცხვში 23.00

ტფილისში მოდის

მატ.	№ 1	ბათუმიდან შაბათობით
მატ.	№ 2	მოსკოვიდან სამშაბათ.
		14.40
მატ.	№ 2	პეტროგრადიდან ოთხშაბათ.
მატ.	№ 2	პეტროგრადიდან პარასკეობ.
		15.30
მატ.	№ 3	ბათუმიდან ყოველდღე 22.[illegible]
მატ.	№ 4	როსტოვიდან „ 6.[illegible]
მატ.	№ 4	კახეთიდან „ 21.[illegible]
მატ.	№ 7	ბათუმიდან „ 8.[illegible]
მატ.	№ 19	ბორჯომიდან „ 8.00
მატ.	№ 21	ბათუმიდან „ 4.20
მატ.	№ 22	ბაქოდან „ 14.50
მატ.	№ 4	ერევნიდან წყვილ რიცხვში 10.20
მატ.	№ 3	კახეთიდან „ „ 18.45
მატ.	№ 34	ჯულფიდან კენტ რიცხვში 18.15

საბაგარაკო

მატ.	№ 18	ბორჯომში კვირაობით 7.10
მატ.	№ 16	ხაშურში შაბათობით და უქმის წინადღით 1.55
მატ.	№ 17	ბორჯომიდან კვირაობით 11.20
მატ.	№ 15	ხაშურიდან კვირაობით და უქმის წინადღით. . . 5.10

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 407 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტეინის ქუჩ. № 4